განკარგულება:**g-63. 632324717**
თარიღი:**04/09/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოში მდებარე 14948.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.11.43.251) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის მე–2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22–ე მუხლის მე–2 პუნქტისა და 36–ე მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოში მდებარე 14948.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.11.43.251) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.1. მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოში მდებარე 14948.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.11.43.251) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადასცეს ვიტალი თარგამაძეს.

1.2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოში მდებარე 14948.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.11.43.251) აღნაგობის ფორმით, სარგებლობის ვადად განისაზღვროს 10 (ათი) წელი.

1.3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოში მდებარე 14948.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.11.43.251) სარგებლობის ქირის წლიურ საფასურად (ქირის წლიურ ოდენობად) განისაზღვროს 6000 (ექვსი ათასი) ლარი (10 წლის საფასური (ქირა) 60000 (სამოცი ათასი) ლარი).

1.4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოში მდებარე 14948.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.11.43.251) აღნაგობის ფორმით სარგებლობისათვის, ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი